



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების  
სახელმწიფო მომსახურების  
სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი

*ფ. შ. შ.*

ფრიდონ შენგელია

„*20*“ „*05*“ 2015 წელი

ეგზ. N1

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია  
ფინანსური აუდიტის ანგარიში

*აქტ 40/00*

2014 წლის 1 იანვარი-2014 წლის 31 დეკემბერი

## შინაარსი

|                                                                                |   |
|--------------------------------------------------------------------------------|---|
| დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....                                    | 3 |
| პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ ..... | 4 |
| პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ .....                        | 7 |
| სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....                                              | 7 |

## **დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის (შემდგომში-პრეზიდენტის ადმინისტრაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების (ფორმა N2), არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების (ფორმა N2-1), ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების (ფორმა N2-2), წმინდა ღირებულების (ფორმა N3), სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის (ფორმა N4), ფულადი გრანტების (ფორმა N4-1), ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღივსების მონაცემებზე (ფორმა N6), არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის (ფორმა N5) და ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების (ფორმა N5-1) ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

## **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ბუღალტრული აღრიცხვის ცალკეული მუხლების 2014 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები არსებითი თანხებით არ ედრება 2014 წლის ბალანსის შესაბამისი მუხლების საწყის და საბოლოო ნაშთებს. (იხილეთ ცხრილი N1)

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არსებობს 2007 წლიდან 2011 წლამდე პერიოდის მივლინების მუხლით შესრულებულ ოპერაციებთან დაკავშირებული მოუწესრიგებელი, არასისტემატიზირებული და ბუღალტრულად აღურიცხავი პირველადი დოკუმენტაცია. ამასთან, 2012 წელს ბუღალტრული ანგარიშები არ იქნა დროულად შედგენილი და არ განხორციელდა პირველადი დოკუმენტაციის სისტემატიზირება 1,060.6 ათასი ლარის მივლინების მუხლით შესრულებულ ოპერაციებზე.

აღნიშნული საკითხი გამოვლინდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2011-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით<sup>1</sup> 2014 წლის 20 ნოემბრიდან დაიწყო და მიმდინარეობს სამუშაოები „მივლინების“ მუხლით შესრულებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ბუღალტრულად აღურიცხავი

1 პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება N10/17-2/2 17.10.2014წ. „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ 2011-2013 წლების ფინანსურის და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშზე რეაგირების ღონისძიებების შესახებ“

პირველადი დოკუმენტაციის დალაგების, დამუშავებისა და ბუღალტრულ რეგისტრში შესაბამისი გატარებით დარეგისტრირების მიზნით.

ცხრილი N1-“სხვაობები ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს შორის”

ათასი ლარი

| ანგარიშის<br>N | საწყისი ნაშთები (01.01.2014) |                                        |           | საბოლოო ნაშთები (31.12.2014) |                                        |           |
|----------------|------------------------------|----------------------------------------|-----------|------------------------------|----------------------------------------|-----------|
|                | ბალანსის<br>მონაცემებით      | ბუღალტრული<br>აღრიცხვის<br>მონაცემებით | სხვაობა   | ბალანსის<br>მონაცემებით      | ბუღალტრული<br>აღრიცხვის<br>მონაცემებით | სხვაობა   |
| 1210           | 2.8                          | 459.0                                  | 456.2     | 24.4                         | 480.7                                  | 456.2     |
| 1460           | 4,217.4                      | 2,796.9                                | (1,420.5) | 3,830.8                      | 2,410.2                                | (1,420.5) |
| 1620           | 1,668.0                      | 1,521.0                                | (147.0)   | 1,331.2                      | 1,331.2                                | -         |
| 2120           | 3,348.7                      | 3,423.4                                | 74.7      | 2,771.4                      | 2,773.0                                | 1.6       |
| 3253           | 637.3                        | -                                      | (637.3)   | 637.4                        | -                                      | (637.4)   |
| 5100           | 15,385.3                     | 16,426.3                               | 1,041.0   | 13,687.3                     | 14,802.1                               | 1,114.9   |

## მივლინება

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მივლინების მუხლით რიცხული 3,830.8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებიდან, 1,420.5 ათას ლარზე ვერ დგინდება ანგარიშვალდებული პირები, ხოლო დანარჩენ 2,410.3 ათას ლარზე დებიტორული დავალიანების სისრულე და სიზუსტე.

2014 წელს „მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ“ მუხლზე დებიტორული დავალიანება შემცირებულია 2012-2013 წლების სამივლინებო დოკუმენტაციის საფუძველზე 431,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის, ანგარიშვალდებული პირების მიერ უკან დაბრუნებულია 6,1 ათასი ლარი, ხოლო მივლინების ხარჯად აღიარებულია 425,8 ათასი ლარი.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით“ მუხლზე ირიცხება 637,4 ათასი ლარის, ანგარიშვალდებული პირების მიხედვით გაუშიფრავი კრედიტორული დავალიანების ნაშთი.

## არაფინანსური აქტივები

2014 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ანგარიშგების ფორმა N5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლი, შესაბამისად როგორც შემოსავლების (მიღების) ასევე ხარჯების (გასვლის) ნაწილში არ ედრება ბუღალტური აღრიცხვის მონაცემებს. კერძოდ, შემოსავლის (მიღების) ნაწილში აღნიშნული მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 274,9 ათ. ლარით, ხოლო ბუღალტრული მონაცემებით 136,6 ათასი ლარით. სხვაობა შეადგენს 138,3 ათას ლარს. ხარჯების (გასვლის) ნაწილში „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 314,9 ათასი ლარით, ხოლო ბუღალტრული მონაცემებით 102,7 ათასი ლარით. სხვაობამ შეადგინა 212,2 ათასი ლარი. შესაბამისად, აღნიშნულმა მოვლენამ ასევე გამოიწვია 2014 წელს „წმინდა ღირებულების“ მუხლზე ბუღალტრული აღრიცხვის და ბალანსის მონაცემებს შორის სხვაობის გაზრდა 73,9 ათასი ლარით. აღნიშნული სხვაობები გამოწვეულია ძირითადი აქტივების, მარაგების ნაშთების და მოძრაობის 2010-2013 წლების ბუღალტრული მონაცემების კორექტირებით, რომელიც გამომდინარე იქიდან, რომ არ წარმოადგენს ოპერაციის შედეგს ფინანსური ანგარიშგების ზემოთ ხსენებულ ფორმებში აისახა სხვა ეკონომიკური ნაკადების მუხლზე.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლზე ბუღალტრული აღრიცხვის და ბალანსის მონაცემებს შორის სხვაობამ შეადგინა 1.6 ათასი ლარი, რაზეც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შესაბამისი განმარტება ვერ იქნა წარმოდგენილი, თუმცა აღნიშნული სხვაობა წარმოშობილია 2011 წლამდე პერიოდში.

2014 წელს ბუღალტრულად აღიცხულია ავტომანქანა TOYOTA LANDCRUISER 200 სახელმწიფო ნომრით BVB 515-ის აფასება<sup>2</sup> 25,6 ათასი ლარით, თუმცა მისი ასახვა ფინანსური ანგარიშგების ფორმა N6-ში „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“ არ მომხდარა. აღნიშნულ ფორმაში ასევე არ არის ასახული ორ ავტომანქანაზე 2013 წელს დარიცხული ცვეთის თანხის კორექტირება, ჯამურად 6,9 ათასი ლარით. სულ სხვაობამ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფორმა N6-ის მონაცემებს შორის შეადგინა 32,5 ათასი ლარი, თუმცა აღნიშნული სხვაობა ფინანსური ანგარიშგების სხვა კომპონენტებზე გავლენას არ ახდენს.

2 გადაფასება განხორციელდა ავტომობილის ჩანაცვლების მიზნით, რაც 2014 წელს ვერ განხორციელდა.

## კრედიტორული დავალიანება

ვალდებულებების სინთეზური აღრიცხვის ანგარიშზე ბუღალტრული მონაცემებით 2014 წლის დასაწყისში სადებეტო ნაშთად აღრიცხულია 125.7 ათასი ლარი, ხოლო საბოლოო ნაშთად 125,5 ათასი ლარი, რითაც დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის<sup>3</sup> მოთხოვნები. აღნიშნულ საკითხზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შესაბამისი განმარტება წარმოდგენილი ვერ იქნა. აუდიტორული პროცედურების შედეგად ვერ დავრწმუნდით აღნიშნული ნაშთების არსებობაში, სისრულესა და შეფასებაში.

## პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით.

## სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

### მივლინების სადღეღამისო ნორმის დანამატი

პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2011-2013 წლების ფინანსური აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტზე გაიცემოდა „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებით განსაზღვრული ნორმისგან (300 აშშ დოლარი) განსხვავებული დანამატი<sup>4</sup> (900 აშშ დოლარი). აღნიშნულ საკითხზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.

3 „ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნა/დაფარვა აისახება ფინანსური ვალდებულებების/სხვა კრედიტორული დავალიანებების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში/დებეტში სხვა ანგარიშების დებეტთან/კრედიტთან კორესპონდენციით“.

4 „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის N14/09/10 განკარგულება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის სექტემბრიდან სადღეღამისო ნორმის განსხვავებული დანამატი არ გაიცემა.

## დებიტორული დავალიანება

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშზე 1480 „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები“ ირიცხება წინა წლებში წარმოქმნილი უცვლელი დებიტორული დავალიანების ნაშთი 2,042.4 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ:

- 2004 წელს წარმოქმნილი დავალიანება „ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრზე“<sup>5</sup> 33,1 ათასი ლარის ოდენობით.
- 2004 წელს წარმოქმნილი დავალიანება შპს „ჯი ემ თი სასტუმროებზე“<sup>6</sup>– 2,6 ათასი ლარის ოდენობით.
- 2008 წლიდან სსიპ „განვითარების და რეფორმების ფონდზე“ წარმოქმნილი დავალიანება 1,995.4 ათასი ლარის ოდენობით.
- ფიზიკური პირის მიერ 2008 წელს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის სასარგებლოდ წარმოქმნილი დავალიანება<sup>7</sup> 11,3 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სსიპ „განვითარების და რეფორმების ფონდზე“<sup>8</sup> წარმოშობილი დებიტორული დავალიანების აუდიტით დადგენილ იქნა, რომ 2008-2009 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსების სახით გამოყოფილი და სსიპ „განვითარების და რეფორმების ფონდზე“ გადარიცხული 6,501.3 ათასი ლარიდან ფონდის მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, 2009 წელს ხარჯად აღიარებული და ჩამოწერილი იქნა 4,505.9 ათასი ლარი, ხოლო 1,995.4 ათასი ლარი უცვლელად ირიცხება დებიტორულ დავალიანებად.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „განვითარებისა და რეფორმების ფონდის ლიკვიდაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 30 დეკემბრის N970

5 შეტანილია სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში.

6 დებიტორული დავალიანების ნაშთის დადასტურებისა და თანხის ამოღების მიზნით პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილია წერილები.

7 აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებო წარმოება აყვანილია კონტროლზე

8 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N33 27.01.2004წ. „ საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განვითარებისა და რეფორმების ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ“.

ბრძანებულებით განისაზღვრა სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობა და ლიკვიდაციის განხორციელების ვადები.<sup>9</sup> კომისიას დაევალა ფონდის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების სრული აღრიცხვა და სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა. გაწეული სამუშაოებისა და შედეგების შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ინფორმაცია წარმოდგენილი ვერ იქნა.

უფროსი აუდიტორი

ნ. ამირანაშვილი

ნინო ამირანაშვილი

აუდიტორ ასისტენტი

ვ. პერტაია

ვახტანგ პერტაია

---

<sup>9</sup> 2010 წლის 1 თებერვლამდე.